ჭეშმარიტად, ჩემი (სიკვდილის) შემდეგ უპირატესობა მიენიჭება (სხვებს) და (იქნება ჩადენილი) საქმეები, რომლებიც არ მოგეწონებათ», ხალხმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო, რის გაკეთებას გვიბრძანებ?" მოციქულმა თქვა: «გააკეთეთ ის, რაც თქვენთვის არის დადგენილი, და სთხოვეთ ალლაჰს ის, რაც თქვენ გეკუთვნით

გადმოცემულია იბნ მას'უდისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ჩემი (სიკვდილის) შემდეგ უპირატესობა მიენიჭება (სხვებს) და (იქნება ჩადენილი) საქმეები, რომლებიც არ მოგეწონებათ», ხალხმა ჰკითხა: "ო, ალლაჰის მოციქულო, რის გაკეთებას გვიბრძანებ?" მოციქულმა თქვა: «გააკეთეთ ის, რაც თქვენთვის არის დადგენილი, და სთხოვეთ ალლაჰს ის, რაც თქვენ გეკუთვნით».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშიდობა მას) გვამცნო, რომ მუსლიმებს ეყოლებათ მმართველები, რომლებიც თავიანთ მფლობელობაში მიითვისებენ მუსლიმთა ქონებას და სხვას ამქვეყნიური საქმეებიდან, დახარჯავენ ისე, როგორც მათ სურთ და არ მისცემენ მუსლიმებს მათ წილს. მათ რელიგიაში ექნებათ ისეთი საქმეები, რომლებიც არ მოგეწონებათ. და საჰაბები (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) მას შეეკითხნენ, თუ როგორ უნდა მოექცნენ ასეთ სიტუაციაში? შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა მათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ მმართველები მიითვისებენ მათ ქონებას, ეს არ უნდა გახდეს მიზეზი, რომ მუსლიმებმა შეწყვიტონ თავიანთი მოვალეობის შესრულება მათ მიმართ, კერძოდ, მორჩილება და დაქვემდებარება. მოციქულმა თქვა, რომ საჭიროა მოთმინება, მორჩილება და მმართველების მიმართ დაქვემდებარება, ასევე არ უნდა ეცადონ მათთან ძალაუფლების შეჯიბრში შესვლას. მუსლიმებმა უნდა სთხოვონ ალლაჰს, რომ დაუბრუნოს მათ თავიანთი უფლებები, გააუმჯობესოს მმართველების მდგომარეობა და დაიცვას მუსლიმები მათი ბოროტებისა და უსამართლობისგან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3156